

პრესრელიზი

კახი კალაძემ მადლობა გადაუხადა კომპანიებს რომლებმაც მერიასთან ერთად, საახალწლო ღონისძიებებზე იზრუნა.



დედაქალაქის მერმა კერძო სექტორს და შესაბამის სამსახურებს მადლობა გადაუხადა საახალწლო ღონისძიებებში ჩართულობისა და მხარაჭერისთვის. „მადლობას ვუხდით კერძო სექტორს. განსაკუთრებით, იმ 17 კომპანიას, რომელმაც ქალაქის მთავრობასთან ერთად, საახალწლო ღონისძიებებზე იზრუნა, ჩვენ ყველამ ერთად შევქმენით ეს დღესასწაული“, - განაცხადა კახი კალაძემ მთავრობის სხდომაზე. შეგახსენებთ, რომ ქალაქის მერის ინიციატივით გაიმართა კამპანია - „ერთად მოვრთოთ თბილისი“, რომლის ფარგლებშიც კერძო კომპანიებს ჩართულობისკენ მოუწოდა.



საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია, აქტიურად იყო ჩართული, დედაენის ბაღში მერიის მიერ ორგანიზებულ საახალწლო ღონისძიებებში. საახალწლო დღეები, „ჯი-აი-ჯიმ“ პატარებს, მხიარული და ფერადი კონცერტებით გაუხალისა. საახალწლო ქალაქმა ვიზიტორებს 24 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით, დილის 10



პრესრელიზი

საათიდან ღამის 12 საათამდე, მრავალფეროვანი გასართობი პროგრამით უმასპინძლა. ბაღში გაიხსნა საახალწლო ბაზრობა, ღია კინოთეატრი. სხვა ღონისძიებებთან ერთად სპეციალურად პატარებისთვის, საბავშვო გასართობი ღონისძიებები ჩატარდა. სადღესასწაულო საბავშვო აქტივობებში ჩართული იყო ანა-ბანა, ბასტი-ბუბუ და მეკო-სტუდიოს ბავშვები.

10.01.2018

კომპანია "ჯი-აი-ჯი" ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

